726/8188

ლამპრო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 11 (243) გამოცემის მე-14 წელი • 1970 წლის 12 ივნისი

ჩვენი ცხოვრების ყვავილები



დაე, მუდამ იყოს მზე!





იოსებ დავითაშვილის და სანდრო მამასახლისის ფოტო

ყვავილი... რამდენის მთქმელია ეს სიტყვა. როდესაც თებერვალი უკანასკნელად გაიბრძოლებს, გაზაფხულის სუნთქვა ენძელებად აყვავდება, იის სურნელით, ნუშისა და ატმის ყვავილით აფეთქებული შემოვა საქართველოში.

გაზაფხულის შემოსვლას ჩვენში იმთავითვე ნუშის ტოტებითა და ვარდის კონებით ეგებებოდნენ. დღეს კი ტრადიციად იქცა მაისში, ვარდობის თვეში — ყვავილების დღესასწაული. ამ დღეს ეწყობა გამოფენები, ყვავილებით ირთვება ქუჩები და მოედნები, სახლები და საცხოვრებელი ბინები. ყვავილი ისადგურებს ადამიანის სულში.

მაისის ბოლო კვირადღეს დედაქალაქი ვარდ-ყვავილთა ბაღნარად იქცა. თბილისელებმა იზეიმეს გაზაფხულის დღესასწაული. მეორე დღეს კი, პირველ ივნისს, ჩვენი ცხოვრების ყვავილების — ბავშვთა საერთაშორისო დღე აღნიშნეს.

მართლაც რომ ყვავილებს ჰგვანან ჩვენი პატარები, ყვავილებივით ამკობენ და ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას. ყვავილებივით ნაზსა და სათუთებს, მოვლა და ფერებაც ნაზი და სათუთი სჭირდებათ. და თუ გაზაფხული ბუნების ამღერებაა, ადამიანის გაზაფხული ბავშვია და სწორედ ამიტომ არის, რომ სიმღერის, ყვავილების დღესასწაულსა და ბავშვთა დაცვის დღეს თითქმის ერთდროულად ზეიმობს ხალხი.

წლეულს ყვავილებით მორთული თბილისი ერთ ვენება თაიგულს მიაგავდა. ნამდვილად მზისა და ვარდების მხარის სადარი ფერები ელვარებდნენ ქუჩებსა და მოედნებზე, ქალაქის ყოველ კუთხეში.

თავისკენ გვიხმობდნენ და სიკეკლუცით ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ვარდი და მიხაკი, ტიტა და ნარგიზი, ლეილაღი და შროშანა. საღამოს კი დღესასწაულმა ქუჩებიდან და ბაღებიდან დარბაზებში გადაინაცვლა. ყვავილთა ასპარეზობამ ადგილი დაუთმო ცეკვასა და სიმღერას. დედაქალაქის რაიონების ახალგაზრდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ საგუნდო, საესტრადო, კლასიკურ სიმღერებსა და ცეკვებში.

და მთელი ამ დღესასწაულის ლეიტმოტივი იყო მზე, მშვიდობა და სიყვარული. მღეროდნენ დიდები და პატარები, წითელლოყება ბოგონები და ბიჭუნები. და განა მარტო აქ, და განა მხოლოდ ამ დღეს. დედამიწის ყოველ კუთხეში გაისმის მათი უმანკო, ბავშვური ჟრიამული, ყველგან ნახავთ გაუწყვეტელი ხელით დახატულ დიდ მზესა და ყვავილებს. დიახ, პატარებს უნდათ უდრუბლო ცა, ალერსი, სიყვარული. ამიტომაც არის, რომ ყველაფერი კარგი და ლამაზი მათთვის კეთდება, ამიტომ არის, რომ მათ მშვიდობასა და ბედნიერებაზე ასე ზრუნავენ ჩვენში. ბავშვები ხომ ჩვენი ცხოვრების ყვავილები არიან, ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედი.

დაე, პატარებო, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც უნდა ცხოვრობდეთ, თქვენი ცხოვრების გზა მუდამ ვარდ-ყვავილებით იყოს ფენილი!

დაე, მუდამ იყოს მზე!

დაე, მუდამ იყოს მშვიდობა!

მუხრან მაჭავარიანი

ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ხიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას ცივოდა,
და
დრო
გადიოდა.
ვითარცა ღვინო —
ქვევრიდან
ხაპში —
ხაპიდან
დოქში —
დოქიდან ჯამში —
ქართული სისხლი,
ქართული სულის,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში...
გადადიოდა,
გადადიოდა, —
გადადიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი...
გზადაგზა
სვამდნენ,
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
ულმერთოდ
ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ
და...
მიუხედავად ამისა,
მაინც —
გამოიარა
რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული
და დღეს —
შოთაის
ნაჭონი სისხლით,
და დღეს —
ვახტანგის
ნაჭონი სისხლით
და დღეს —
სულხანის
ნაჭონი სისხლით,
თბილისის ქარდო
ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი,
და...
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

ოფიციალური ცნობები, ინფორმაციები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

● საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენის — ქართული ენის სიწმინდის დაცვა, მისი შემდგომი განვითარება, ყოველივეს იყო და არის ჩვენი მთავრობის უპირველესი ზრუნვის საგანი.

ამის ნათელი მაგალითია ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ქართული ენის სიწმინდის საკითხების განხილვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 მარტის დადგენილება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ". მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწიეს. მეტი ყურადღება ეთმობა იმ ახალი სპეციალური მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა ტერმინების უნიფიცირებული ფორმების დანერგვას, რომლებიც ქართულ ენაში წარმოიშობა. პრესაში იბეჭდება სტატიები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საკითხებზე. 1968 წელს გამოიცა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი", 1970 წელს გამოვიდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების" პირველი კრებული.

ამასთანავე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ხშირად მახინჯდება. უურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში შეხვდებით პუბლიკაციებსა და გამოსვლებს, რომლებშიც დაცული არ არის ქართული მეტყველების წესები.

სერიოზული ნაკლოვანებებია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების პროპაგანდის საქმეში. დღემდე არ გამოცემულა კრებულის „ქართული მეტყველების კულტურის საკითხების" არც ერთი ნომერი, მცირე ტირაჟით გამოიცა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი", მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნზე დიდი მოთხოვნილებაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას წლევანდელი წლის დამლევამდე გამოსცეს კრებული — „ქართული მეტყველების კულტურის საკითხები". რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევალა კვლავ მოაწყოს „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის" განხილვა მისი შემდგომი სრულყოფისა და 1971 წელს ხელმეორედ გამოცემის მიზნით. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციას კი დაევალა ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად მოამზადოს 1970-1971 წლებში გამოსაცემად უცხოური პირთა სახელებისა და გეოგრაფიული სახელების სპეციალური ორთოგრაფიული ლექსიკონი.

მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, აგრეთვე გამომცემლობათა ხელმძღვანელების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს თანამშრომელთა პასუხისმგებლობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ყველა რედაქციასა და გამომცემლობაში შემოიღონ სტილისტთა საშტატო ერთეულები, უურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში სისტემატურად გაუწიონ პოპულარიზაცია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, ამისათვის საქმიანი კავშირი დაამყარონ სასწავლებელთა შესაბამის კათედრებთან და ენათმეცნიერების ინსტიტუტთან.

საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა 1970 წლის დამლევამდე შეიმუშაოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, ქართული ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე სხვა სახელმძღვანელოების ენისა და სტილის გაუმჯობესების ღონისძიებანი. წარუდგინოს ისინი განსახილველად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ სახელმწიფო კომისიას.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა შეისწავლოს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოშვებულ თარგმნილ და ორიგინალურ სახელმძღვანელოთა ენა, და 1970 წლის დამლევამდე წარუდგინოს თავისი წინადადებანი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ სახელმწიფო კომისიას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს მწერალთა კავშირსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საკითხებს, ქართული ენის სპეციალისტებთან ერთად სისტემატურად მოაწყონ თარგმნილ ნაწარმოებთა განხილვა.

მწერალთა კავშირსა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" **რედაქციას დაევალათ მოაწყონ მწერალთა ნაწარმოებების განხილვა ენისა და სტილის თვალსაზრისით. (საქდესი).**

ახალი შტურმი კოსმოსში



ანდრიანე ნიკოლაევი



ვიტალი სევასტიანოვი

3 ივნისს კიდევ ერთი საისტორიო ცნობა მოედო ჩვენს პლანეტას — 22 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში სტარტი აიღო მატარებელმა რაკეტამ „სოიუზ-9" კოსმოსური ხომალდითურთ. კოსმოსური ხომალდის მეთაურია საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის კოსმონავტ-მფრინავი პოლკოვნიკი ანდრიანე ნიკოლაევი, ბორტ-ინჟინერი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიტალი სევასტიანოვი.

როგორც საკდესის ცნობაშია აღნიშნული, ხომალდ „სოიუზ-9"-ის ეკიპაჟი ერთდროულად ორბიტალური ფრენის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების დიდ პროგრამას ასრულებს.

10 ივნისისათვის „სოიუზ-9" კოსმოსურმა ხომალდმა დედამიწას 140-ჯერ შემოუარა. მთელი ამ დროის განმავლობაში კოსმონავტებმა მრავალი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტი შეასრულეს, აკვირდებოდნენ დედამიწის ზედაპირსა და ცის მნათობებს, მოაწყეს სამედიცინო კვლევის კომპლექსი. კოსმოსის შტურმი გრძელდება.

ირანული ფილოლოგიის პრობლემები

რამდენიმე წლის წინათ თბილისში სტუმრად მყოფმა ირანის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ აღნიშნა, თბილისური ირანისტული სკოლა ყველაზე ძლიერია მსოფლიოში.

მართლაც, თბილისი აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია. ორიენტალისტიკის სხვა დარგებთან ერთად რესპუბლიკაში ფართოდ იკვლევენ ირანულ ფილოლოგიას.

ყოველივე ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ამ დღეებში თბილისში გაიმართა მე-6 სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელიც ირანული ფილოლოგიის საჭირბოროტო პრობლემებს მიეძღვნა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ქართული ირანისტიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა.

მოხსენება — „ლენინი და აღმოსავლეთი" — წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ დოცენტმა ოთარ გიგინეიშვილმა.

ლენინური პრემიის ლაურეატმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა წაიკითხა მოხსენება — „ირანის სახელმწიფოს 2500 წლისთავის გამო".

საქართველოში ირანული ფილოლოგიის შესწავლას მიუძღვნა თავისი გამოსვლა თბილისის უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა დავით კობიძემ.

დღემდე შერჩენილია „ქილილა და დამანას" ხუთი ქართული ვერსია. მათი შესწავლის შედეგებზე ილაპარაკა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ.

შუა საუკუნეების ბრწყინვალე ძეგლს — „ვისრამიანს" მიეძღვნა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგის პროფესორ მაგალი თოდუას მოხსენება.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსანდრე გვახარიამ ილაპარაკა სპარსულ დასთანების (მოთხრობების) „სეიფ-ალ-მულუკის", „რაზმა-შაჰის", „ბაღდადის მეფის" სპეციალურ ლიტერატურაში უცნობი რამდენიმე ქართული ვერსიის შესახებ, რომლებიც მან აღმოაჩინა.

ძალზე საინტერესო გამოდგა ტაჯიკი მეცნიერის ჭამალ აინის მოხსენება „შაჰ-ნამეს" კითხვის ტრადიციები ირანში". მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფესორები მიხეილ ბოგოლუბოვი, მზია ანდრონიკაშვილი, ვასილ აბაევი, ალექსანდრე ბოლდირევი, კონსტანტინე ფაღავა, დანიელ კომისაროვი, ვერა რასტორგუევა და სხვები.

კონფერენციაზე განსაკუთრებით აღინიშნა ქართველი მეცნიერების — ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას მიერ მომზადებული XI საუკუნის სპარსული ლიტერატურის კლასიკოსის ფარს ად-დინ გორგანის პოემის „ვის ო რამინის" ქართულ და სპარსულ ენებზე აკადემიური გამოცემის დიდი მნიშვნელობა. პოემა ამჟამად თეირანში იბეჭდება.

გეოგრაფიულ საზოგადოებაში

წელს არსებობის 120 წელიწადი შეუსრულდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა კავკასიისა და მიმდებარე მხარეების გეოგრაფიულ შესწავლაში.

კავკასიის განყოფილება მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი საზოგადოებაა. იგი შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების ხუთი წლის შემდეგ. კავკასიის განყოფილებამ იარსება 67 წელიწადს და ამ დროის განმავლობაში მისი რეზიდენცია მუდმივად ქალაქი თბილისი იყო. 1924 წელს შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, რომელიც აგრძელებს შესანიშნავ ტრადიციებს.

ამ დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მე-3 ყრილობა, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. ყრილობაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, პროფესორები გიორგი გველესიანი, გრიგოლ ზარდალიშვილი, ლევან მარუაშვილი და სხვები.

ყრილობამ განიხილა საანგარიშო მოხსენება, მიიღო გეოგრაფიული საზოგადოების ახალი წესდება და აირჩია მისი ხელმძღვანელი ორგანოები. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია თეოფანე დავითაია.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებისა და მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში დიდი დამსახურებისათვის საპატიო პრეზიდენტად არჩეულია აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, ხოლო საპატიო წევრებად აკადემიკოსები ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ნიკო კეცხოველი. საპატიო წევრად არჩეულია აგრეთვე გამოჩენილი ალპინისტი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე.

ხუროთმოძღვართა ფორუმი

ბოლო წლებში ქართველმა არქიტექტორებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ყველა მთავარი ნაგებობა საქართველოში მათი პროექტით შენდება.

ქართველ არქიტექტორთა წარმატებებს მოწმობს პრემიებიც, რომლებიც მათ საერთაშორისო და სრულიად საკავშირო კონკურსებსა და დათვალიერებებზე მიიღეს.

ჩვენი არქიტექტორების შემოქმედებითი ანგარიში წარმოდგენილი იყო საქართველოს არქიტექტორთა მე-9 ყრილობაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. იგი გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა არქიტექტორმა არჩილ ქურდიანმა. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა მისი თავმჯდომარე ივანე ჩხენკელი.

წარმატებებთან ერთად, მომხსენებელი შეეხო ნაკლოვანებებსაც, რომელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის არქიტექტორთა საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, უფრო ეფექტიანსა და ნაყოფიერს გახდის მას. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ივანე ჩხენკელი.



ბაბუასთან ყანაში.

ფოტოკლუბი „საქართველო"

ბრწყინვალე მსახიობთა თეატრი

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 15 მაისს დრეზდენის „შტადტთეატრის“ სცენაზე გასტროლები დაიწყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა.

უკვე პირველი სპექტაკლების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს გასტროლები ქართული დრამატული ხელოვნების ახალ გამარჯვებათა, რუსთაველის თეატრის წინსვლის, პატივისცემისა და აღიარების, ახალი შემოქმედებითი სიხარულის დღეებად იქცა.

სპექტაკლებს ესწრებოდნენ არა მხოლოდ თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი, არამედ ოფიციალური პირებიც, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ეს გასტროლები არის დიდი პოლიტიკური და კულტურული ფაქტი.

მოვუსმინოთ ზოგიერთ მაყურებელს:

რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე კარლ მორგი:

— გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მანამდე არც ერთ თეატრს არ მოუხდენია ასეთი ღრმა შთაბეჭდილება. რა მომწონს ყველაზე მეტად? ჯანსაღი გულუბრყვილობა. მსახიობთა თამაშში, რომელიც თავისუფალია მოჭარბებული ინტელექტუალიზმისაგან, ამასთან გულისხმობს ღრმა აზრს.

თეატრალური საზოგადოების მდივანი იოვან ბლაისი: — პირველად ვნახე ქართული თეატრი. ეს ჩემთვის ძალიან დიდი აღმოჩენა იყო. ნეტავი უამრავი თვალი მქონოდა, რომ ეს მრავალფეროვანი სანახაობა უფრო სრულად აღმექვა. დიდებული თეატრალური შთაბეჭდილება მივიღე.

ცნობილმა რეჟისორმა ვეკვერტმა, რომელიც თბილისში ატარებს ჩამოსვლას ბრეხტის „გალილეის“ დასადგმელად, განაცხადა:

მინდოდა ზაქარიაძისათვის დამედგა „გალილეი“. მსახიობი ახლა აქ არის, და, ვფიქრობ, ზაქარიაძე სწორედ ის მსახიობია, რომელმაც უნდა ითამაშოს ეს როლი. ღრმად დარწმუნებული ვარ, ბრეხტს რომ ენახა ეს სპექტაკლები, იგი ყველაზე აღტაცებული მაყურებელი იქნებოდა. მას უთუოდ მოეწონებოდა ინტელექტის ემოციასთან გონივრული შერწყმა, რასაც თვითონაც ესწრაფვოდა.

გერმანულმა გაზეთებმა მოწონების არაერთი სტატია უძღვნეს ქართველ მსახიობთა ხელოვნებას, აღნიშნეს თბილისური ტემპერამენტი, ქართული თეატრის დიდი ტრადიციები, არტისტიზმი, შესანიშნავი ანსამბლურობა და ის ამბავი, რომ რუსთაველის თეატრი ძლიერია როგორც კლასიკური ნაწარმოებებით, ისე თანამედროვე რეპერტუარით.

31 მაისს რუსთაველის თეატრის მსახიობები დაემშვიდობნენ გერმანელ მაყურებელს და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ პოზნანს ესტუმრნენ. დაიწყო პოლონელი მაყურებლისათვის ქართული თეატრალური ხელოვნების ჩვენება. სასიამოვნოა, რომ რუსთაველთა გასტროლები აქაც დიდი წარმატებით მიმდინარეობს. პოლონელი ხელოვნებისმოყვარულები, მაყურებელი და გაზეთები გულთბილად ეხმაურებიან თითოეულ სპექტაკლს. აქაც, როგორც გერმანიაში, მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს სერგო ზაქარიაძემ, ზინა კვერენჩხილაძემ, რამაზ ჩხიკვაძემ, გოგი გეგეჭკორმა და სხვებმა.

რამდენიმე დღეში თეატრი გასტროლებს დაამთავრებს და მშობლიურ თბილისს დაუბრუნდება. მისი ეს გასტროლები ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიის კიდევ ერთი ნათელი ფურცელია.

ნ დ ო ბ ა

ორიოდე დღეც და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება — მოეწყობა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ამ დღეს საბჭოთა ადამიანები ხმას მისცემენ რჩეულთა შორის რჩეულთ. ქვეყნის უმაღლეს ორგანოში საქართველოს 74 წარმომადგენელი ეყოლება.

ვიქნებით ხალხის ერთგული მსახურნი — ასე დაამთავრეს ამომრჩევლებთან შეხვედრისას თავიანთი სიტყვები დეპუტატობის კანდიდატებმა. მათ სიტყვის გატეხა არა სჩვევიათ — ამ რწმენით მივალთ 14 ივნისს საარჩევნო ურნებთან და ხმას მივცემთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს.



ამ საქმისა არაფერი გამეგებოდა. ვიცოდი მხოლოდ, ეს კაცი, გულმოდგინედ რომ უკირკიტებდა მარცხენა ყურს, სმენას უბრუნებდა ავადმყოფს.

მერამდენე იყო იგი სიმონ ხეჩინაშვილის მარჯვენისათვის? ვინ მოთვლის...

იქნებ ამაზე იმ წერილებმა ილაპარაკონ, მის სახელზე ყოველდღიურად რომ მოდის. ზოგი რჩევასა და დახმარებას სთხოვს, სხვები მადლობას უთვლიან, უფრო ხშირად, რა თქმა უნდა, პაციენტები სწერენ:

„თქვენს შესახებ ბევრი იწერება. ყველგან კეთილად გიხსენებენ, მგარამ მჯერა, ჩვენსავით, თქვენი პაციენტებივით, არავინ იცის თქვენი დიდსულოვნება და კეთილშობილი მარჯვენის ფასი“. გალინა ბოლშაკოვა. ქალაქი კურსკი.

„როგორ შემიძლია სიტყვებით გამოვხატო მადლობა იმ სიკეთისა და ბედნიერებისათვის, რომელიც თქვენ მომანიჭეთ. ეს ხომ სიცოცხლის დაბრუნებას ნიშნავს ჩემთვის, მომღერლისათვის, რომელსაც ხუთ წელიწადს არათუ მუსიკალური ბგერა, ჭექა-ქუხილიც არ ესმოდა. ახლა კი არა მარტო შემიძლია გავიგონო და მოვისმინო, შემიძლია ვიმღერო კიდეც. უკვე დავუბრუნდი კიდეც ჩემს საყვარელ ოპერის თეატრს“. ნინო ჯაგინოვა, ყირგიზეთი.

„პატივცემულო სიმონ, მთელი ჩვენი ოჯახი თქვენ უნდა გიმადლოდეთ ბედნიერებას, რომელიც დღეს ჩვენთან სუფევს... პატარა ირინე, რომელსაც თქვენ სმენა დაუბრუნეთ, დაბადებით ყრუმუნჯი გვეგონა. და, როცა თქვენს შესახებ გავიგეთ, თბილისში ჩამოვიყვანეთ გოგონა. იმედი რომ გვქონდა... ახლა უკვე ენასაც იტეხს. ერთი თვის წინათ კი ყრუმუნჯთა სკოლაში უნდა მიგვეყვანა!“ ტატიანა სერებრიანიკოვა. ქალაქი მაგადანი.

წერილები მოდის ასობით, ათასობით სტავროპოლიდან და რიგიდან, ბაქოდან და ერევნიდან, პერმიდან და მურმანსკიდან, თელავიდან და ზუგდიდიდან.

თითოეული ბარათი თავისებური საზღაურია იმ სიკეთისათვის, ასე უხვად და უანგაროდ რომ თესავს ბრწყინვალე დასტაქარი და შესანიშნავი მეცნიერი, რომელიც უკვე თვრამეტი წელიწადია თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრის გამგეა. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ექიმმა აიმაღლა კვალიფიკაცია. ყველგან ფართოდ დაინერგა და ინერგება ოტოსკლეროზით დაავადებულთა მკურნალობის მისეული მეთოდი. ჩვენს ქვეყანაში ბევრი მოწფეე ჰყავს. თბილისში უკვე გამოიჩინეს თავი ტოგო ყორდანიამ და ოთარ გოგნიაშვილმა.

ხშირად გამოდის კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, მექსიკასა და იაპონიაში, შვეიცარია და ნორვეგიაში, ინგლისსა და გერმანიაში, კუბასა და არგენტინაში, პოლონეთსა და რუმინეთში, გამოდის მოხსენებებით გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად...

* * *

აბა, უკეთესს ვის ავირჩევთო, და ამ რამდენიმე ხნის წინათ კვლავ დაასახელეს ლენინგორელებმა სიმონ ხეჩინაშვილი დეპუტატობის კანდიდატად.

გაახარა დასტაქარი მშრომელთა ღრმად დაჯერებულმა ნდობამ.

ხუთი თითივით იცნობს რაიონს, თავისსავე დაწყებულ საქმეს გააგრძელებს: კულტურის სასახლეს ააშენებენ, წყალსადენის მილები გამოსაცვლელია, რაისაავადმყოფოც უნდა გაფართოვდეს.

და ყოველივე კარგისა და სიახლის სულისჩამდგმელი იქნება დეპუტატი, მეცნიერი, დასტაქარი სიმონ ხეჩინაშვილი.

ჯემალ ქურხული

სახელი ხევსური ქალისა...

ნინო გოგრჭური შატილში დაიბადა. გოგოა, რომ თქვეს, კაცებს სახე მოეღუშათ. ომი იყო და ქალის გაჩენა აღარავის ახარებდა. შვილის გარჩევა ვის უთქვამს, მაგრამ ფრონტზე მიმავალ ვაჟკაცს შინ გვარის გამგრძელებლის დატოვება უფრო მეტ ძალას მატებდა.

ხევსურებმა თითო არაყი მაინც გადაჰკრეს. ახალშობილს სიმწრის აშორება და სიტკბო უსურვეს.

გადიოდა წლები. ნინო იზრდებოდა. სიმყუდროვემ დაისადგურა კავკასიონის მთებში. მტერი ახლა ძალზე შორს იყო — ბერლინს სხვებთან ერთად შატილიდან წასული მებრძოლებიც უტევდნენ. სახლში რომ დაბრუნდნენ, ახლებურად ცხოვრება გადაწყვიტეს. უმრავლესობამ ბარად ირჩია ჩამოსვლა. თბილისის ზღვის ახლოს დაიდეს საცხოვრებელი ჭინჭარაულებმა და დაიაურებმა, მიხდიკაურებმა და გოგოჭურებმა... სოფელს სახელიც შესაფერისი გამოუძებნეს — მტერზე გამარჯვებულებმა ახალ კარმიდამოს „გამარჯვება“ უწოდეს.

ნინოს დედამაც დატოვა შატილი. უდროოდ დაქვრივებული ქალი ერთხანს ვერ ბედავდა მამაპაპისეული კერის დაცვებას, მაგრამ კეთილი მეზობლების რჩევას ენდო და ბარად გამოსწია. დღედაღამ შრომობდა და შვილებს კი არაფერს აკლებდა.



ნინომ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და პირველად თავის სიცოცხლეში წინ აღუდგა დედის სურვილს — საცა ამდენი, კიდევ ცოტასაც გავიჭირვებ, წადი, უმაღლესი დაამთავრე და სოფელს ისე დაუბრუნდიო — სთხოვდა დედა, ნინომ კი სულ სხვანაირად გადაწყვიტა თავისი მომავალი. სწავლისათვის შემდეგაც მოვიცლი, ახლა კი დედასა და ოჯახს უნდა ამოვუდგე მხარში, მუშაობას უნდა შევუდგეო. ასეც მოიქცა. თავდაპირველად თბილისის აბრეშუმსაქსოვ კომბინატში დაიწყო შრომა. ერთ წელიწადს დაჰყო აქ და ისევ სოფელს მიაშურა. კარგი მქსოველის ფაბრიკიდან წასვლა ყველას ეწყინა, მაგრამ ხანში შესული დედის კვირაში ერთხელ ნახვა საკმარისი რომ აღარ იყო, ეს ნინოს მეგობრებმაც იგრძნეს და „გამარჯვებაში“ მიმაკალს სიკეთე და გამარჯვება უსურვეს.

ლოჭინის მეფრინველეობის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. დამხმარე მეფრინველედ განაწესეს. სიბეჯითე და საქმის სიყვარული რომ შეამჩნიეს, გამოსაზრდელ საამქროში გადაიყვანეს მეფრინველედ.

შვიდი წელიწადია ნინო გოგოჭურს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა შორის იხსენიებენ, მის მიღწევებზე არაერთხელ დაწერილა და თქმულა. ყოველწლიურად 45 ათასი ფრთა ფრინველი გადის ნინოს ხელში. პროცენტებში ეს ციფრი ასს ბევრჯერ აღემატება და მისი დაზუსტება სტატისტიკოსებს მივანდოთ, ჩვენ კი ერთი-ორი სიტყვა ნინოს კაიქაოლობაზეც ვთქვათ, ასე რომ გაუთქვა სახელი და ხალხის რჩეულად აქცია.

რა უნდა გაკეთდეს ლოჭინის მეფრინველეობის ფაბრიკაში, რომ მისი სული და გული ნინო არ იყოს! გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრა თუ საზეიმო საღამოს მოწყობა, შაბათობის გამართვა თუ თეატრში კოლექტიურად წასვლა. ვინმე ავად რომ გახდეს, ყველაზე ადრე მას ნინო ინახულებს, თუ ვინმეს რაიმე გასაჭირი აქვს, საშველად ნინოს უხმობს, ნინოს თბილი გული აქვს. ტკბილი ენა. სხვისი საკუთარივით აღელვებს. ტოლთან ტოლია, უმცროსთან — უმცროსი, უფროსთან — უფროსი, პრინციპული, პირნათქმელი, ნაღვლობი თვალს არასოდეს ხუჭავს, დახმარება კი უანგარო იცის. სოფელში მითხრეს, რომ დაგვჭირდეს, ჩვენი გულისათვის ცეცხლში გადავარდებაო, ჰოდა. აბა, რა გასაკვირია, სწორედ ასეთი ადამიანი რომ დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ხალხის შასხურად გაჩენილს მალე ამ სახელწოდებას აობათ. ოფიციალურადაც მიაკუთვნებენ.

ოთარ მესხიშვილი

ჩვენი საზღვარგანთელი მკითხველი

„რენე ლაფონი და საქართველო“

სერგო თურნავას ნაშრომი „რენე ლაფონი და საქართველო“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969 წელი, 96 გვერდი) მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს გააცნოს, რა დამსახურებაც მიუძღვის ფრანგ მეცნიერს, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორს ქართული ენის შესწავლის საქმეში, ქართული ენათმეცნიერების მიღწევათა და, საერთოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ავტორი დაწვრილებით განიხილავს პროფესორ რენე ლაფონის ღვაწლს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების ფრანგულად მთარგმნელისას, აგრეთვე პროფესორ რენე ლაფონის მონაწილეობას საქვეყნო ზეიმში რუსთაველის დღეებთან დაკავშირებით (1966 წლის სექტემბერში), მის გამოსვლას საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე, მოგვითხრობს პროფესორ რენე ლაფონის ლექციებზე ბასკური ენის შესახებ (თბილისის უნივერსიტეტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში); დასასრულ გადმოცემულია, რა მოხსენებაც გააკეთა პროფესორმა რენე ლაფონმა საქართველოში ყოფნის შესახებ (1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერში) საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ.

წიგნი დაწერილია პროფესორ რენე ლაფონის 70 წლის თავთან დაკავშირებით (1969 წელს), როდესაც თბილისის უნივერსიტეტმა პროფესორ რენე ლაფონს საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა დიდი დამსახურებისათვის ბასკოლოგიისა და კავკასიოლოგიის, კერძოდ, ქართველოლოგიის წინაშე.

სერგო თურნავა სამართლიანად ასკვნის, რომ საჭიროა ითარგმნოს პროფესორ რენე ლაფონის გამოკვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ (გვკრდი 87). ჩვენ დავსძენდით: რიგი სხვა გამოკვლევებიც ბასკურისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ.

შესავალ ნაწილში (გვერდი 5-30) ავტორი მოგვითხრობს არა ერთ ფაქტსა და სპეციალისტის საქმიანობაზე, რაც მოწმობს ქართული კულტურით დაინტერესებას საფრანგეთში. ეს ნაწილი საინტერესო ფაქტებს შეიცავს, მაგრამ მთლიანს რასმე არ წარმოადგენს.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერმა თანამშრომელმა სერგო თურნავამ უთუოდ სასარგებლო საქმე გააკეთა.

ახალ გამოცემაში სასურველი იქნებოდა რენე ლაფონის საენათმეცნიერო ნაკვლევის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა მკითხველისათვის: პროფესორი რენე ლაფონი ერთად ერთი სპეციალისტია ამჟამად, ბასკურის ცნობილი მკვლევარი და ქართულ-კავკასიურის საფუძვლიანი მცოდნე.

თითო-ოროლა ფაქტს დაზუსტებაც დასჭირდება. რაც მთავარია, კორექტურას ყურადღება აკლია (გვერდი 86-ზე ერთი სტრიქონი ორ აბზაცშია გამეორებული, მასთან ერთად დამახინჯებულად).

მწვავედ დგას კორექტურის საკითხი ფრანგულ ტექსტში (გვერდები 89-91, 93-94, აგრეთვე თავფურცელზე). ასე დატოვება არ შეიძლება.

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა,



აქ, პატარძეულში, აღიმართება გიორგი ლეონიძის ძეგლი...

მიხეილ როსტიაშვილის ფოტო

1900 გოგლაობა 1970

ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 1969 წლის 26-ე ტომში გამოქვეყნდა პარიზის აზიური და ლინგვისტური საზოგადოების წევრის, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აკადემიის წევრის, ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის, ლიტერატურის საპატიო პროფესორის კალისტრატე სალიას ნაშრომი, რომელშიც მიმოხილულია გიორგი ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება.

პარიზელი მკვლევარი ჯერ მოკლედ გადმოსცემს პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს, აღწერს მის ოჯახურ გარემოს, მოაქვს ბევრი საინტერესო მასალა იმის ნათელსაყოფად, რომ პოეტი ბავშვობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიისადმი, შემდეგ ჩერდება თბილისის სასულიერო სემინარიის პერიოდზე, ახახავს სემინარიაში გაბატონებულ სასტიკ რეჟიმს, ვრცლად მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებას.

მკვლევარი გაკვრით ლაპარაკობს ქართულ სიმბოლისტურ სკოლაზე — „ცისფერ ყანწებზე“, მოკლედ ახასიათებს ქართველი და ფრანგი სიმბოლისტების პოეზიას, მიუთითებს, რომ გიორგი ლეონიძეც განიცდიდა ცისფერყანწელების გავლენას, მაგრამ მისი პოეზია სიმბოლოდ არ მოქცეულა სიმბოლისტური პოეზიის რკალში, რადგან გიორგი ლეონიძის პოეზიას მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვები თავისი ხალხის წიაღში.

გიორგი ლეონიძის შემოქმედების მეორე პერიოდიდან კალისტრატე სალია არჩევს პატრიოტიზმის თემაზე დაწერილ ლექსებს: „არ დაიდარდო, დედაო“, „ვუმდერ სამშობლოს“, „ივრის ღამე“, „ვისმენ მაისის სიმთა ხმას“.

მკვლევარი აქვე არჩევს პოემა „სამგორს“. მას აცვიფრებს პოეტის მიერ დახატული ბუნების სურათები, პოეტური მეტაფორები: „პოემა „სამგორში“, — წერს კალისტრატე სალია, — პოეტი მომხიბლავი ფერებით გვიხატავს ბუნების სურათებს, სადაც უცხოვრია, გომბორის შორეულ მთებს, ივრის ზვირთებს, წისქვილის ჩქრიალს, ძველ მონოტონურ სიმღერას... ვხვდებით საოცარ სახეებს, პოეტურ მეტაფორებს, რომლებიც ყოველთვის ბრწყინვალე და მიმზიდველია. პოეტის მიერ დახატული ბუნების სურათები ძალზე მხატვრულია, ისინი ჭეშმარიტად მხატვრულია, ისე როგორც მთელი მისი პოეზია“.

ავტორს „ოლეს“ ლეიტმოტივი ასე აქვს გაგებული: „ლექსი „ოლე“, — წერს ავტორი, — სიმბოლურად გადმოგვცემს, თუ რა მოელის იმას, ვინც ხალხს მოსწყდება. ეს ხე მარტოობის შხამით შიგნიდან იფიტება. იგი აღმართულა როგორც სახრჩობელა და კლდეზე ჩამოკიდებული ფრთამოტეხილ არწივსა ჰგავს“.

მკვლევარი გიორგი ლეონიძის ლექსებში მკითხველის ყურადღებას აქცევს სიყვარულის თემას, მიუთითებს, რომ პოეტი აღფრთოვანებით, დიდი სითბოთი უმღერის სიყვარულს და ამით ავრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს.

ავტორი გიორგი ლეონიძის პოეზიაში განსაკუთრებით აფასებს ხალხურობის ტრადიციების გაგრძელებას, იგი გიორგი ლეონიძეს ქართული ენის ნოვატორად თვლის.

შემდეგ კალისტრატე სალია იხილავს ისტორიულ თემაზე დაწერილ ლექსს „ქეთევანის წიგნი“, რომელიც მკვლევარს ძალიან ვრცლად და საქმის კარგი ცოდნით აქვს გარჩეული. საფუძვლიანად განიხილავს პოემა „ფოროთოხალას“ და მას თანამედროვე ქართული საბჭოთა ეპიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშად თვლის.

დასასრულ კალისტრატე სალია წერს: „გიორგი ლეონიძის პოეზია შეიძლება შევადაროთ ღრმა მდინარეს, რომელსაც სიკვდებს აწვდის მრავალი შენაკადი: მოჩუხჩუხე ნაკადულები და გამჭვირვალე წყაროები. ეს ნაკადულები ისე არ შრება, რომ წყლებში თავისი ნაკვალევი არ დატოვოს. თითოეული მათგანი შეადგენს ამ მდინარის ნაწილს, რომლისთვისაც მას მოაქვს თავისი განსაკუთრებული სიმშვენიერე.

როდესაც გიორგი ლეონიძის პოეზიას ვკითხულობთ, ვგრძნობთ, რომ პოეტის ლექსები ჩვენი აზრების, ჩვენი შთაგონებისა და სიხარულის ნამდვილი ენციკლოპედიაა. ამ ლექსებში ცხოვრების გამაცოცხლებელი სუნთქვა დიდი მხატვრული ოსტატობით არის გამოხატული. მისთვის კარგი და ცუდი თემა არ არსებობს.

გიორგი ლეონიძე რეალისტი პოეტია, მაგრამ მის შემოქმედებაში შეიმჩნევა რომანტიზმის ნიშნებიც. მასში, რაც ჩვენ ჩვეულებრივად გვეჩვენება, პოეტი რაღაც არაჩვეულებრივსა და მგრძნობიარეს ხედავს. რა თქმა უნდა პოეტის ბევრ ლექსში რეალიზმი და რომანტიზმი ერთმანეთთან არის შერწყმული“.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი კარგად იცნობს გიორგი ლეონიძის შემოქმედებას, მის შესახებ კრიტიკულ ლიტერატურასაც. მკვლევარს გამოუყენებია შალვა დადიანის, სერგი ჭილაიას, ბესო ჟღენტის და გიორგი მარგველაშვილის ნაშრომები.

ნარკვევის ბოლოს ავტორი ჩერდება გიორგი ლეონიძის სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაზე.

ნაშრომი დაწერილია დიდი სიყვარულითა და ცოდნით. უცხოელი მკითხველი ამ ნაშრომით გაეცნობა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი პოეტის გიორგი ლეონიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

სერგო თურნავა

„ლიტერატურული საქართველო“, 29 მაისი, 1970 წელი.

პარიზელი მეცნიერის ნაშრომი გიორგი ლეონიძეზე

ვარდმოწმენის დღე იყო სოფელში. ყოველი სახლი მოერთოთ და მოეხატათ. განსაკუთრებით — ერთი, გოგლას სახლი. აივანი, სარკმლები, სვეტები შეემოსათ ვარდებით, სოსანით, ღიღილოთი, გვირილათი, როგორც ოდესღაც ირთვებოდა.

დიოდა ხალხი.

გარეჯელები და მანაველები, ნინოწმინდელები და გიორგიწმინდელები, უჯარმელები და გომბორელები ავსებდნენ პატარძეულელთა კარმიდამოს. გოგლაობას —საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადების 70 წლისთავს ზეიმობდნენ ყველგან.

სტუმრების შესახვედრად სამოცი ცხენოსანი ვაჟკაცი დაიძრა ივრისაკენ. შვენოდათ ჩაუქნებს ქართული ჩოხები, ხოლო ხევსურულ ჯუბა-პერანგებში გამოწყობილ გომბორელ მხედრებს მრავალგზის ნაცადი მოჯირითე კოსტა არაბული და გოგლას ლექსებზე გაზრდილი ჭაბუკი „თორელთ ლექსო“ უძღოდნენ.

ახსოვდათ მთიელთ: ხევსურეთის მოამაგე იყო დიდი პოეტი, ბევრჯერ სწვევია არაბულეთსა და ჭინჭარაულებს, ქეთელაურებსა და გოგოჭურებს. მათ გასახარად ხევსურული ტალავერი ჩაუცვამს, აბჯრით აღჭურვილა. მერე ჩამომჯდარა და ერთად დაულევიათ ლუდი, უდღეგრძელებიათ თამარ ნეფეი და ბატარა კახი, ქართველი ტომი და მამული.

მხედრები ცხენდაცხენ მოუძღვნენ სტუმრებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს გრიგოლ აბაშიძეს მხატვრული სიტყვის ქართველ ოსტატთა ლაშქარი მოჰყვა, აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს — ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მოამაგენი...

პატარძეული გაივსო. სრულიად საქართველო შეიყარაო თითქოს. სახალხო ზეიმი იყო და ხარობდა დიდ-პატარა. პოეტის მარადსახსენებელი სახელი ეკერა ყველას პირზე. გოგლას მზეს ახარებდნენ. ნელი სიო ვარდ-ყვავილების სურნელსა და გოგლას ბუბუნა ხმას აფრქვევდა:

„შენ ლიახვის კლდეზე დგახარ,
ძველი მოსასხამით, —
ოლე,
ოლე,
მარტოხეო,
დღისითა და ღამით;
შიგნიდანვე გამომწვარო
მარტოობის შხამით,
შიგნიდანვე გაბზარულო,
დახეთქილო კეცად;
ხე ბრუნდევ და ხე მართალო,
ხეო, ერთო ბეწვა“.

დაირხა დარბაისლური ქართული ხალხური ჰანგები: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ ბარათაშვილსა“, „გაფრინდი, შავო მერცხალო!“.. სიმღერები გოგლას დაბადების დღეს მიუძღვნეს გარეჯელებმა. მერე მათმა თავკაცმა ოთარ საბაშვილმა თქვა:

— „ავ-კარგიანი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, ტკბილად მოუბარი, თავისი ქვეყნის დიდი მოჭირნახულე, მასზე გულგადაგებული და მოამაგე იყო გიორგი ლეონიძე. გულღია და თავისუფალი, თითქოს ყველას იცნობდა, დიდ-პატარასთან საერთო ენას გამოძებნიდა, იცოდა, რომ მშობელ მიწაში ედგა ფესვები და ირგვლივ მყოფნიც სათავისონი იყვნენ. კაცში მადლსა და სამზეოს ხედავდა, თავი განსხვავებულად და გამორჩეულად არ მიაჩნდა“...

...გამოდიოდნენ მელექსენი. უკვე სახელგანთქმულნიც, ახალგაზრდებიც, თავიანთ სიტყვას ეუბნებოდნენ გოგლას და თითქოს შეფასებას ელოდნენ ქართული პოეზიის რაინდისაგან.

თანასოფლელმა თამარ ხუროშვილმა გაიხსენა პოეტის ნათქვამი: „მშობლიურ ხეთა ჩრდილებში“:

„მახსოვს, საახალწლო თონეში
ჩემთვის და ჩემი ძმებისათვის ნაზუქთან ერთად ცხვებოდა ბასილა,
პურის გუთანი, ბარები, წალდები,
ცულები, ჭიკოები! მაგრამ ყველაზე მეტად კი პურის ხმლები!

ყოველივე ეს ბავშვობიდანვე შთამაგონებდა შრომის სიყვარულს, თუმცა ჩემთვის დიდს კალამი არ გამოუცხვია, მაგრამ ასე მგონია, პურის კალამი მიჭირავს ხელთ და იმ ქართული პურის მადლითა და სიმართლით ქაღალდზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა“.

— „რაგინდ ძლიერიც უნდა იყოს პოეტის შემოქმედების ფესვები, სათავე და დასაბამი, რაგინდ „ელვარე სულის პოეტები“ არ იყვნენ მისი გზის დამლოცნი, მთავარი მაინც ერთია: გიორგი ლეონიძემ, როგორც მაღალნიჭიერმა, ჭეშმარიტმა პოეტმა შეძლო ქართული პოეზიის მეშვიდეგრეთა შორის გამოჩენილიყო“ — თქვა აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ.

ახალმა ორატორმა გოგლაობის მონაწილეთ მოახსენა:

— დღეიდან გიორგი ლეონიძის სახელობისა იქნება პატარძეულის საშუალო სკოლა. ეს სახელი დაერქმევა სოფლის მთავარ ქუჩას. გორაზე აღიმართება პოეტის ძეგლიო.

დიდ-პატარა იმ გორისაკენ გაეშურა. მიდიოდა მოზეიმე ქართველობა, გზადაგზა გოგლას თაოსნობით გამოყვანილ წყაროებს ეწაფებოდა და ახსენდებოდა „ნიშარძეულის წყალი“, მშვენიერი მოთხრობა იმაზე, თუ როგორ შეუერთდა ნიშარძეულის ჩანჩქერს მეოცნებე ფორეს კურცხალი მისივე ხმელი გულისა და მისი მშობლიური მიწის მოსარწყავად.

ზეიმმა გოგლას გორაზე გადაინაცვლა.

ისევ ორატორები, ისევ მოლექსენი, ცაში ავარდნილი ფერადი შუშხუნები. ნეტავი წამოგახედა, გოგლაო, ნატრობდა ხალხი...

და ისევ ღმერთივით მოლექსეს ბუბუნი:

„არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე,
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე“.

ასეთი იყო ჩვენი სათაყვანებელი გოგლა. სწორედ ამგვარი ზეიმი ეკადრებოდა კაცს, ორმოცდაათ წელიწადზე მეტხანს რომ ეჭირა ხელში მშობელი დედისა და ხალხის სიყვარულით ნაკურთხი კალამი.

ლაშა გარეჯელი

„გოგლაობამ“ მეორე ღღეს თბილისში გადმოინაცვლა. ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, საზოგადოებრიობამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ვარდებითა და მიხაკებით შეამკეს გიორგი ლეონიძის საფლავი, წუთიერი დუმილით პატივი სცეს პოეტის ხსოვნას.

შემდეგ კი გიორგი ლეონიძის ნიჭის მრავალმა თაყვანისმცემელმა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში აღნიშნა პოეტის დაბადების 70 წლისთავი.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტ მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ი ს ლექსთა ახალი კრებული. გთავაზობთ ერთ ლექსს ამ კრებულიდან.

კალმახი

კლდეს მოწყვეტილი მდინარე
ორწოხში მორევს აჩენდა,
ჩანჩქერს მიადგა კალმახი,
შეცბა,
შეკრთა და გაჩერდა.

მდინარე
ქვევით მოჰქროდა,
კლდეში
თავპირისმტვრევით,
კალმახს სამშობლო შორს
ჰქონდა,
ეშურებოდა
ზევით!

ცხრა მყინვრით განათებული
უშგულს თემია სასოფლო,
იქ იყო დაბადებული,
კალმახს იქ ჰქონდა
სამშობლო.

გაავებული, ამაყი,
შინ ბრუნდებოდა ზღვიდან —
ჩანჩქერს ეძგერა კალმახი,
ჩქერს ხანჯალივით ჭრიდა.

სამჯერ დაყარა ფარ-ხმალი,
დაისვენა და დანაყრდა,
შეხლა და ბრძოლის ჯახანი
სამჯერ შეწყდა და განახლდა.

იყო სხლტომა და ფრთხიალი,
ვერცხლის ჩქერების ჩეხვა;
პირველ დღეს ოქროსფრთიანი,
ჩანჩქერს შუამდე შეჰყვა.

მეორედ კლდისთავს უწია,
ვერ გადიტანა ტანი;
მესამედ კლდეზე გადახტა
და ჰა,
ამღერდნენ მთანი...

მდინარე
ქვევით მოჰქროდა,
კლდეში
თავპირისმტვრევით,
კალმახს
სამშობლო შორს ჰქონდა,
ეშურებოდა ზევით!

სუყველაფერი თავდაღმა
მოაქვს ენგურს და არყევს,
მარტო კალმახი ჯიუტობს,
აღმა მიაპობს ტალღებს.

მოაბურთავებს ლოდებს და
მოათამაშებს მორებს, —
მარტო კალმახი ჯიუტობს,
აღმა მიარღვევს მორევს...

ტანდასისხლული კალმახი,
ფრთამოხატული წინწკლით,
მხნეა, ტურფა და ამაყი
საკუთარივე სისხლით...

ამას მღეროდა პოეტი,
ამას მღეროდნენ მთები,
მღეროდა ცა და ქვეყანა
თავისუფლების შვებით:

— იდიდოს სიმხნე ზვიადი!
— ჟინი ჯიუტი ბრძოლის!
— იდიდოს ნიჭი დიადი
მამულისაკენ სრბოლის.

ქ ა ა კ ი გ ე წ ა ძ ე ს ჩვენში იცნობენ რო-გორც სხვადასხვა ჟანრში მომუშავე ნიჭიერ მწერალს. იგი ლექსების 6 კრებუ-ლის ავტორია. დაწერილი აქვს რომანები — „მუზარადში ამოსული ყვავილი“, „ჯვარცმული მზე“, „ყარამან ყანთელაძე“, „შვილო-გოგია“. „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“, პიესები — „წმინდანები ჯოჯოხეთში“, „თოფი და სიყვარული“, „მზე ცრემლში“, „პაემანი ცაში“, „სულხან-საბა“.

აღსანიშნავია, რომ მისმა პიესამ „წმინ-დანები ჯოჯოხეთში“ ოთხჯერ მოიკოცნა საქაქუხირო და რესპუბლიკური პრემიები. პრემირებულია მეორე პიესაც — „პაემანი ცაში“.

დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ქა-კი გეწაძის სამ ახალ ლექსს.

ქასეთი სიყვარული ვინ იცის კიდევ...

სიკვდილი მე სიკვდილს ვერ გამიბედავს,
მოვა და... საცოდავს დავაყრი სიცილს,
ასეთი სიცოცხლე ვინ იცის ნეტავ,
როგორი სიცოცხლეც ქართველმა იცის!
ხოლო თუ ოდესმე მოვკვდები მაინც,
რა ვქნათ, თანდათან ხომ თვით მზეც იწვის!
სიკვდილს ბრალს ნუ დასდებთ სხვანი და
სხვანი:
მომკლავს სიყვარული ქართული მიწის.
მზის ქვეშ საქართველო იცოცხლებს ვიდრე,
ვიცოცხლებ მეც —
მისი გული და ღვიძლი...
ასეთი სიყვარული ვინ იცის კიდევ,
როგორი სიყვარულიც ქართველმა იცის!

გაღმა ქსნა-ბარს

ბაღის ბილიკს მიუყვება გოგონა.
და მე მიკვირს:
სილამაზეს ამდენს
როგორ იტევს ეს პატარა ხატი?!
რუსთაველზე მიდი-მოდის ხალხი.
და მე მიკვირს:
სილამაზეს ამდენს
როგორ იტევს ეს პატარა ქუჩა,
როგორ იტევს ეს პატარა ქალაქი?!
თბილისიდან გზას ავყევი მაღლა,
მთაზე შევდექ,
მთა-ბარს ვუმზერ ციდან.
და მე მიკვირს:
სილამაზეს ამდენს
როგორ იტევს საქართველოს მიწა?

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

შორეთს ვიყავ...
მინათებდა სხვა მზე...
უცხოეთში ვერ ვხარობდი ლხინშიაც
და სიბერე რომ მომადგა კარზე,
ჩემს მამულში დაბრუნება მირჩია.
ბოლო დღეებს სულ ცრემლებში ვწვავდი,
რასაც ვსვამდი,
ვერ ვიკლავდი წყურვილს...
ვიღაც გულში ჩამძახოდა:
— წადი,
შენს მიწაზე დალიეო სული!
დავუბრუნდი კვლავ მშობლიურ მიწას,
გადავხედე განახლებულ თბილისს.
ჩემი მიწა
შვილმა ძლივსღა ვიცან,
მან კი მიცნო დაკარგული შვილი.
სოფლად ხალხი სიყვარულით შემხვდა,
მივადექით ეზოს — ახალღობიანს...
სიკვდილი ხომ სიკვდილია ყველგან,
მაგრამ მაინც სამშობლოში სჯობია!

მზე საუკუნეთა...

გ უ რ ა მ ხ ა რ ა ი ძ ე

ოხუში ნოინი არ იმჩნევდა, მომ-ჯავო კუმისის ნაცვლად რაღაც რძისმაგვარ, მღვრიე სასმელს რომ მი-ართმევდნენ ხოლმე. უნდა მოტყუებუ-ლიყო და თვალი დაეხუჭა კარისკაცთა გაიძვერობაზე. ცხენის რძე იმდენად ძნელი საშოვნი გახდა, ქეიფის დროს კი არა, დილის საუზმეზე, პატარა ფი-ალას ძლივს უვსებდნენ. ერთ საღამოს კი ყური მოჰკრა, როგორ ეუბნებოდა ერთი მეომარი მეორეს: სულ მთლად გამოყეყეჩდა ნოინი, ვირის რძისაგან უმზადებენ სასმელს და კუმისი ჰგო-ნიაო. ჩუმად ჩაიჩრჩილეს მეომრებმა და კიდევ რაღაც თქვეს...

თავს ზევით ძალა არ იყო — უნდა მოტყუებულიყო და საათობით ეგდო ყური მთავარი მეჯინიბის წუწუნისათ-ვის: გადაშენების გზაზე დგანან მონ-ღოლთა ცხენები, თითქოს ჭიჭინა შეე-ყარათო, აღარ მრავლდებიან და გაუ-რწენების გზაზე დგანანო. თქვენი ბრძანების თანახმად, რაც შეიძლება ნაკლებად ვწველით... კვიცები მეტწი-ლად გაგუდულები იბადებიან... ფაშა-ტებს მაშინვე რძე უშრებათო.

ნოინს ბრტყელი, გაქვავებული სახე ჰქონდა. ვერ გაიგებდი გიგდებდა ყურს თუ არა, სჯეროდა შენი ნაუბარი თუ არა.

გუშინწინ მთავარ მეჯინიბეს ესტუმ-რა კარავში. რამდენიმე სარდალი უმალ ფეხზე წამოვარდა, შემდეგ კი მოცელი-ლებივით გაიშლართნენ ხალიჩაზე, თაყვანი სცეს ნოინს. შიშით თავი ვერ ასწიეს. კარავში ნამდვილი, მადის აღ-მძვრელი კუმისისა და მოხარშული კვიცის ხორცის სუნი ტრიალებდა. სი-ბრაზით რეტი დაესხა ნოინს, მათრა-ხის ტარს ისე მოუჭირა თითები, სახ-სრებმა ტკაცატკუცი დაიწყეს. უცქერ-და ხალიჩაზე გართხმულთა ექვს გაპა-რსულ, ოფლიან კეფას. ძლივს შეიკა-ვა სურვილი სატევარი ეძრო და წა-ესხიპა ეს გაპრიალებული გოგრები. ისევე უხმოდ გავიდა კარვიდან, რო-გორც შემოვიდა.

იძინებდა ბანაკი. ალაგ-ალაგ ბუ-ტავდნენ მიმქრალი, მიტოვებული კო-ცონები. ალიზისბ.ნიან სახლებში სო-მხები ცხოვრობდნენ. მოედნებზე, ბა-ღებსა და ზოგან სახლების ბანებზე მონღოლებს დაედგათ კარვები. მტკავ-ლისოდენა მტვერს დაეფარა რიყის ქვით მოკირწყლული გზა.

ოთხი შუბოსანი ჩრდილივით მიჰ-ყვებოდა ნოინს. შფოთიანი დრო იყო, ღამით მარტო სიარული ხიფათის ძებ-ნას ნიშნავდა.

უეცრად შუკიდან ნაგაზი გამოვარ-და და გაშმაგებული ეძგერა ფიქრებ-ში წასულ მბრძანებელს. წამიც და შუბის წვერზე წამოგებულმა ძაღლმა წკავწკავით დაფრთხო მთვლემარე მი-დამო.

ნოინი ისევ ფიქრს მიეცა. რადაც უნ-და დასჯდომოდა, განადგურებისაგან უნდა ეხსნა რემა. ღამით, ქურდუ-ლად, კლდეებისაკენ იტაცებდნენ მეო-მრები ლეშს და სვავებივით ერთმა-ნეთს ჭამას არ აცლიდნენ. დილით კი ასისთავის თანხლებით ნოინის კარავს მიადგებოდნენ, მითქვამდნენ, ჩიოდ-ნენ, სახეს იხოკავდნენ. ღამით ცხენი მოგვტაცეს, დავიღუპეთ! გვიშველე, ერთხელაც მოგვეცი თუნდაც უყარგი-სი ტაიჭი და თვალისჩინივით გავუფ-რთხილდებითო. ასისთავიც შუამდგო-მლობდა „დაზარალებულს“, მდაბლად უგრავდა ნოინს თავს და ჰპირდებოდა, ამიერიდან გახურებული შანთით ამო-წვავ თვალებს ქურდს, თუკი, რა თქმა უნდა, ღმერთებიც დამეხმარებია-ან მის პოვნაშიო... განა არ იცოდა ნო-ინმა, რომ „დაკარგული“ ცხენის საუ-კეთესო ნაჭრები ასისთავმა მოწყალედ მიიღო თავის კარავში.

თავს ზევით ძალა არ იყო... თვალ-ნათლივ ხედავდა ნოინი, როგორ იხრწ-ნებოდა ურდო. ქურდობა, ყაჩაღობა, ძალადობა, ერთმანეთის დაბეზღება და ზურგს უკან სამარის გათხრა. ორი ლუკმა ხორცისათვის ან ახალი ჩექმისათ-ვის კაცი კაცს არ ინდობდა, მეგობა-რი მეგობარს ყიდდა. სხვაგანაც ასე იყო. ოდესღაც ვაჟკაცი მონღოლი მე-ომარი ტურას დაემსგავსა.

გუშინწინ, როგორც იქნა, ერთი ქურდი დაიჭირეს. დანარჩენებმა თავს უშველეს და კლდე-ღრეს შეეფარნენ. მათრახის სამი, არც ისე ძლიერი დარ-ტყმა აღმოჩნდა საკმარისი, რომ მეო-მარს თანამონაწილეები გაეხმქვა.

მბრძანებელს მთელ ღამეს არ ეძინა. დილით კი ბრძანა, სამაგალითოდ და-ესაჯათ ამხანაგების გამყიდველი.

...ორი გასხეპილი ალვის ხე მოდრი-კეს, კენწეროებზე ფეხებგაჩაჩხული ქურდი მიაბეს. თეთრ მამალს თავი წაჭელიჯეს და გაკოჭილ მეომარს სის-ხლი ღაწვებზე წასცხეს. ჭყიოდა მონ-ღოლი, ლანძღავდა ამხანაგებს და მა-თგანვე შველას ითხოვდა. ირგვლივ შემოჯარული ბრბო კი ხარხარებდა.

სიბრაზის ჯანკალი ჩაუდგა ნოინს მუხლებში. მერე აჰყვა ზევით, ნიკაპი რომ აუცახცახდა, ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს, შიშით უცქერდნენ ნოინის მოხრილ ბეჭებს.

ხელი აიქნია. იმწამსვე გადაჭრეს თოკები. შხუილით გასწორდნენ შიშ-ველი ალვები.

...დადის ნოინი მიყუჩებულ ანისში, კარვები, ბაღები, მოედნები. აი იქ სო-მხის ჭალმა თორნეში ჩააგდო მონღო-ლი და თვითონაც უკან მიჰყვა. იქ კი, მოედანზე, მერამდენე დღეა გაშიშვ-ლებული ტყვე ქართველები ყრიან მზის გულზე. არ ტყდებიან...

მზე ამოვიდა. ქალაქი გავარვარე-ბულ თორნეს დაემსგავსა. სუნთქვა ძნე-ლდება და ცერისსიმსხო ჰრიალა ბუ-ზების ბზუილი ისმის.

ზის ლიპ ქვაზე ნოინი და თავის მე-გობრებზე, ურდოს პირველ, ამაყ მე-ომრებზე ფიქრობს. გავიდა წლები. უბელო ცხენით, ყიჟინითა და სისხლში ამოსვრილი სატევრით გადაუპროლა ნოინმა ცხოვრების გზას. მაშინ ღირდა სიცოცხლე და არ ერცხვინებოდა, მონ-ღოლი რომ იყო...

მზე ამოიწვერა და ბუზებმაც უმა-ტეს ბზუილს.

ნოინი წამოდგა. ის-ის იყო ქვევით ჩასვლას აპირებდა, რომ მოპირდაპირე კლდის ნაპრალიდან უცხო სამოსში გა-მოწყობილ ჯაცს მოჰკრა თვალი. უკან ორი ტანმორჩილი ახალგაზრდა მოჰ-ყვებოდა.

„საკაიკაცოდ არ მოდიან“, — გაი-ფიქრა ნოინმა და კლდეს ამოეფარა.

მგზავრი, ეტყობოდა, ჩქარობდა. სწრაფად გადაჭრა ხევი. გადაახტა რუს და ორღობეში გაუჩინარდა. მერე კვლავ გამოჩნდა ქუჩის მოსახვევში და ისევ მიეფარა სახლებს.

მიჰყევითო, — თვალით ანიშნა ნო-ინმა. ორი შუბოსანი თავქვე დაეშვა.

უცნობი კი ფართო ქუჩაზე გავიდა და მოედნისაკენ გაებართა. აი უკვე მოედანზეა. ხელფეხშეკრულ ტყვეებს მიუახლოვდა. ჯერ ერთთან ჩაიმუხლა — შუბლზე ემთხვია, მერე მეორესთან, მესამესთან...

შუბოსნები მოედნისაკენ გარბოდნენ. მათ სხვა მეომრებიც აედევნენ.

მგზავრმა დაამთავრა მისალმება. მზეს ახედა. პირჯვარი გამოისახა. შუ-ბლიდან ოფლი მოიწმინდა და პერან-გი გაიხადა. წუღები ჩიხის გვერდით დაიწყო. მტვრიანი ქუდი მუხლზე და-იბერტყა...

ქამთაღმრიცხველი:

„...და ვითარ იხილეს თათართა, განქვრიტეს და მსწრაფლ აუწყეს ნო-ინთა. ვითარმედ „ცრტნე დადიანი მოვიდა ორიონა კაციონა, და განიძარ-ცვა ყამოსელი ოვისი. და შემკრული დაჯდა ქართველთა თანა“...

უურნალისტ გურამ ხარაიძის მოთხრობა „მზე საუკუნეთა“ საქარ-თველოს ძნელბედობის ერთ-ერთ ნამდვილ ამბავს ეხება. მე-13 საუკუ-ნის შუა წლებში ქართველი დიდებულები — ყვარყვარე ჯაყელი, გა-მრეკელ-თორელი, სარგის თმოგველი, ცოტნე დადიანი და სხვები ჯა-ვახეთში, კოხტასთავს შეიკრიბნენ და მონღოლ დამპყრობთა წინააღ-მდეგ აჯანყების მოწყობა გადაწყვიტეს. მაგრამ შეთქმულება გასცეს, ამ კრების მონაწილენი დაიპატრეს და ანისში წაიყვანეს ნოინთან. ყველანი გააშიშვლეს. მხრები შეუკრეს და მცხუნვარე მზეზე დასვეს.

დაპატიმრებას შემთხვევით გადარჩა ცოტნე დადიანი. მაგრამ რო-დესაც შეიტყო მომხდარი ამბავი, გაეშურა ანისს, მივიდა იქ, სადაც მისი ამხანაგები მზეზე ეყარნენ და იტანჯებოდნენ თვითონაც გაიხა-და და მათ გვერდით დაჯდა. ცოტნეს ასეთმა თავდადებამ გადაარჩინა შეთქმულების მონაწილენი — მონღოლებმა ირწმუნეს ქართველთა უდანაშაულობა და ტყვეები გაათავისუფლეს.

რატომ დუმხარ? ხმა გაგვეცი

ამათი განშორების მიზეზი სხვადასხვაა და ახლა „რატომ“ და „რისთვის“ გარკვევა შორს წაგვიყვანს. მთავარია, ცოცხლები არიან და ათეული წლების წინათ დატოვებული ოჯახისათვის წერილის გამოგზავნა შეუძლიათ...

შეუძლიათ, მაგრამ, ყველა ასე როდი იქცევა. არ უნდათ, ან შეარაღოდ, გამგეობა არ ჰყოფნით გაიხსენონ წარსული და ხმის გაღებას დუმილს არჩევენ. შეიძლება ვინმემ თქვას: ეს მათი პირადი საქმეა და როგორც უნდათ, ისე მოიქცევიანო. რა თქმა უნდა, ამაში ვერავის შევედავებით, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანებს, რომლებიც დახმარებას ჩვენგან ითხოვენ, როგორ ვუთხრათ უარი თხოვნაზე გაზომილ საშუალებით ხმა მიაწვდინონ მეუღლეს, მამას, შვილს, რომლებიც ცოცხლები ეგულებათ და ხმას არ იღებენ.

და აი გადავწყვიტეთ ამიერიდან შემოვიღოთ რუბრიკა — „რატომ დუმხარ? ხმა გაგვეცი“. ამ რუბრიკით იმ პირად ბარათებს გამოვაქვეყნებთ, უცხო მხარეში გადახვეწილ უახლოეს ადამიანებს რომ უგზავნიან და ახსენებენ, თუ ცოცხალი ხარ, ხმა გამეცი.

ვფიქრობთ, ასეთი წერილების გამოქვეყნება გამართლებული იქნება, ათში ერთი მაინც რომ იპოვიდეს მოპასუხეს, ასში ერთიც რომ შეძლებდეს დანგრეული ბუდის გამთელებას.

სალამი მამას!

უცნაურია, წერილს გაზეთის საშუალებით რომ გიგზავნი, მაგრამ რა ვქნა? რამდენი ხანია დუმხარ და ბარათებს უკანვე მიბრუნებ. რა მოხდა? რატომ ამბობ უარს იმაზე, რაც შენთვის, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერზე ძვირფასი და ყველაფერზე უწმინდესია? იქნებ დროთა განმავლობაში ყველაფერი დავიწყებას მიეცა? თუ ასეა, მაშინ შეგახსენებ იმ წერილებს, შენ, 19 წლის ჭაბუკი, საბჭოთა არმიაში ყოფნისას დედაჩემს რომ უგზავნიდი: — „რა ბედნიერი ვარ, მამა რომ მქვია. აკოცე, ათასჯერ აკოცე ცისანას, ჩემს გოგოს, უთხარი, ომს გადავიხდი, გამარჯვებული დავბრუნდები და შემდეგ აღარასოდეს მოვშორდები, მხრებზე შევისვამ და ისე ვატარებ სახლში, ქუჩაში. მაპატიოს ჩემმა პატარამ, მაგრამ ომია და ახლა უპირველესი საქმე სამშობლოს გადარჩენაა...“

აქ არ მთავრდება შენი წერილი, ბევრ თბილ სიტყვას სწერ მშობლებსაც. მაშინ ყველა ერთნაირად და ძალიან გიყვარდით. განა შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო? ახლა თვითონ ვარ დედა და ვიცი, რა არის შვილის, ოჯახის სიყვარული...

არ მინდა ჩემმა წერილმა ძველი სატკივარი გაგახსენოს, გული გატკინოს, მაგრამ უთქმელობაც არ შემიძლია. 1955 წლამდე შენი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. ჯავრს გადაჰყვნენ ბებია და პაპა. დედამ მოიხადა უკანასკნელი ვალი მათ წინაშე—ერთიცა და მეორეც პატივით მიაბარა სოფელ ახალბედისეულის მიწას. გათხოვებაზე არასოდეს უფიქრია. მე მზრდიდა და შენ გელოდა. და აი თითქოს მკვდრეთით აღდექი — 1956 წელს შენი წერილი მივიღეთ, გვწერდი, ბელგიაში ვცხოვრობო. არც ის დაგმალავს, ცოლი რომ გყავს. შვილზეც ამბობდი— სიყვარულით მამაჩემის სახელი ხიტა დავარქვიო. როგორ გავიხარეთ. განსაკუთრებით ის გვიხაროდა, ცოცხალი რომ იყავი. დანარჩენისათვის კი მნიშვნელობა არ მიგვიცია. ხომ იცი, დედა რა უთქმელი ქალია, ალბათ, ჩემი ბედი ასე

ALEX DGICHKARIANI
CITE PRÈS SORAY
29/3 SERAING S/M (LIEGE)
BELGIQUE

ყოფილაო და თვალზე მომდგარი ცრემლი უკან დააბრუნა. იმის მიუხედავად, რომ მანდ, შორეულ ბელგიაში სხვაც გეძახის მამას, ჩემთვისაც მამად დარჩი, მამად, რომელიც არასოდეს მინახავს, მაგრამ მაინც მიყვარს.

ჩვენი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 10 წელიწადია, შენგან წერილებს აღარ ვიღებთ. ცოცხალი და კარგად რომ ხარ, სხვებისაგან ვიცით. შენ კი ჩვენს წერილებს უკან აბრუნებ. რა მოხდა? რატომ აიყარე ჩვენზე გული? ნუთუ აღარც სამშობლო გაგონდება? აბა, რაღად მწერდი, ერთი პეშვი მიწა გამომიგზავნეთ თბილისიდანო? იქნებ ეს მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით იყო ნათქვამი, სამშობლოს მოწყვეტილ ზოგიერთ ადამიანს მოდურ სენად რომ ეყრება?! შვილიშვილების სურათს მთხოვდი, ახლა აღარც ისინი გაინტერესებს. რა მოხდა? იქნებ მეორე მეუღლისა გერიდება? ეს როდია გამორიცხული, მაგრამ დედასაც ხომ ჰქონდა უფლება, ასევე სწყენოდა შენი მოქმედება? მან კი გულში ჩაიკლა ტკივილი. ის კი არა, მოგწერეთ და ახლაც გიმეორებ — თუ მეწვევი შენი შვილითა და მეუღლით, ღირსეულ მასპინძლობას გაგიწევ.

იქნებ მაინც გაინტერესებს ჩვენი ამბავი? კარგად ვართ, დედაც კარგად არის. შვილიშვილები იზრდებიან, პაპას ხშირად ახსენებენ. მოკითხვას გითვლიან ჩემი მეუღლე, შენი ბიძაშვილები — სოლომონი და დავითი.

წერილში თუ რამე გადაჭარბებულად მოგეჩვენოს, მაპატიე. შვილი ვარ და უფლება მაქვს მამას, რომელიც არასოდეს მინახავს, წერილების გამოგზავნა მაინც მოვთხოვო.

ცისანა ჯიშკარიანი,

თბილისი, გორგასლის ქუჩა № 34.

ჩვენი სამშობლო საქართველოა!

ქართველი ებრაელები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ საქართველოში. მათი დედაენა ქართულია. ფიზიკური ტიპით, ყოფა-ცხოვრებით, ნივთიერი და სულიერი კულტურით ისინი თითქმის არაფრით განსხვავდებიან ქართველებისაგან, გარდა რწმენისა — სწორედ იუდაისტური სარწმუნოების მიმდევარს უნდა აღნიშნავდეს ძველი ქართული სახელწოდება „ჰურია“. ებრაელები საქართველოში თითქმის ყველგან ცხოვრობენ, უმთავრესად კი ქალაქებსა და დაბა-სოფლებში, სადაც ისტორიულად ხელოსნობა და ვაჭრობა იყო განვითარებული. 1926 წლის აღწერით ქართველ ებრაელთა რაოდენობა 21.500 სულს შეადგენდა, 1959 წლის აღწერით კი — 36.000-ს.

როგორც ცნობილია, სარწმუნეობრივი ნიშნისა და ისტორიული ბედის ერთიანობის მიხედვით, ებრაელებს ორ ჯგუფად ყოფენ: სეფარადებად და აშქენაძებად. სეფარადების ძირითადი ბირთვი ესპანეთში ჩაისახა შუა საუკუნეებში, აშქენაძებისა კი — სამხრეთ გერმანიაში. სეფარადებს აკუთვნებენ უმთავრესად წინა აზიისა და ჩრდილო აფრიკის ებრაულ მოსახლეობას, აშქენაძებს კი (მათ შორის რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის) — ევროპულ ებრაელებს. ქართველი ებრაელები ისტორიულად არ უკავშირდებიან არც ერთსა და არც მეორე ჯგუფს.

ქართველ ებრაელთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ორი შეხედულება არსებობს. ერთი კონცეფციით ისინი ერთ-ერთი ძველი ადგილობრივი ქართული ტომია, ოღონდ იუდაისტური სარწმუნოების მიმდევარი. ცნობილია, რომ ებრაელთა დიასპორის პერიოდისათვის, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, დამახასიათებელია პროზელიტიზმი — არაებრაული წარმოშობისა და სხვა სარწმუნოების მიმდევარ ეთნიკურ ერთეულთა იუდაისტურ რელიგიაზე მოქცევა; ამ რიგის მაგალითებია — კარაიმული სექტები ყირიმსა და ბალტიისპირეთში, VIII-X საუკუნეებში ხაზართაგან ებრაული სარწმუნოების აღიარება და სხვა. გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიულ საბუთებშიც გვხვდება ებრაელი მებაღონის მიერ ქართველი ყმა-გლეხების იუდაისტურ სარწმუნოებაზე მოქცევის ფაქტები.

მეორე კონცეფციით, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზეა დამყარებული, ქართველი ებრაელობა თავისი წარმოშობით დაკავშირებულია იმ ებრაელ ვაჭრებლოსანთა პირველ კოლონიებთან, რომლებიც იბერიის ქალაქებში ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში ჩნდებიან. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ერთი უეჭველია — ქართველი ებრაელობა საქართველოში სულ ცოტა ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან არსებობს და ამ ხნის განმავლობაში არავის განუზრახავს მათი აქედან აყრა და არც თვითონ უფიქრიათ სხვაგან წასვლა. მართალია, ზოგი ქართველი ებრაელი უცხოეთშიც დადიოდა სავაჭროდ, მორწმუნეთა მცირე, შეძლებული ნაწილი სალოცავად იერუსალიმშიც კი მოგზაურობდა, მაგრამ, როგორც წესი, ისევ სამშობლოს უბრუნდებოდა. ისტორიულად ქართველ ებრაელთა მოსახლეობის მოძრაობა ძირითადად საქართველოს ტერიტორიით იფარგლებოდა.

საქართველოში ქართველ ებრაელთა სოციალ-ეკონომიური წყობა და უფლებრივი მდგომარეობა ისეთივე ყოფილა, როგორც ქრისტიანი ქართველებისა. XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის დროს, თბილისში მოსახლე ებრაელები, ერთი არაბული ცნობის მიხედვით, უფრო ნაკლებ გადასახადებს იხდიდნენ, ვიდრე ქრისტიანი ქართველები. XVIII საუკუნეში ერეკლეს კარზე მყოფი ცნობილი გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი ასეთ ფაქტებს ისე გაუოცებია, რომ საგანგებოდ აღუნიშნავს — ქართველი ებრაელები ისევე იკვებებიან, როგორც დანარჩენი ქართველები, არ განიცდიან რაიმე ჩაგვრას და ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ქართველი გლეხები და არ სდევნიან მათო.

ქართველ ებრაელებს საქართველოში არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნეობრივი დევნა, ანტისემიტიზმის საშინელებანი. ამიტომაც საქართველოსთვის უცხო იყო ეგრეთწოდებული „ებრაელთა საკითხი“, მათი ემანსიპაციის პრობლემა.

თავის მხრივ არც ფეოდალურ და არც ბურჟუაზიულ საქართველოში ქართველი ებრაელობა ერთ მთლიან სოციალურ წრეს კი არ ეკუთვნოდა, არამედ „კლასობრივად დაპირისპირებული სოციალური კატეგორიებისაგან“ შედგებოდა. ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ყმა ებრაელი ყმა ქართველთან ერთად ატარებდა „მებატონის მძიმე უღელს და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდა“. მამულის მქონე ებრაელებს, დიდვაჭრებს, იჯარადარებს „სოციალურად საერთო აღარა ჰქონდათ რა თავიანთ ყმა მეტომეებთან“. ქართველ ყმებთან ერთად ყმა-ებრაელები შეადგენდნენ სამეფო-სადედოფლო, სათავადაზნაურო და საეკლესიო-სამონასტრო ყმებს. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ გვიანფეოდალურ ხანაში, როცა „განათლებულ“ ევროპაში ეკლესია ინკვიზიციისა და ანტისემიტიზმის სულისჩამდგმელის როლში გამოდიოდა, საქართველოში ეკლესია ობიექტურად ყმა-ებრაელებს მფარველობას უწევდა — ეკლესიის ქვეშევრდომს ხელს ვერავინ ახლებდა.

ქართველი ებრაელობა ქართველ ხალხს მუდამ თავისიანად მიაჩნდა: არასოდეს თვლიდა მას უცხო თესლად, შემოხიზნულად, გადამთიელად. საქართველოს ისტორიაში ცნობილია არაერთი მაგალითი, როცა ქართველი მეფეები დიპლომატიური დავალებებით გზავნიდნენ ებრაელ ვაჭრებს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ არ „თქმულა და არ გაგონილა“, რომ ქართველ ებრაელს „ან საქართველოსათვის ედალატნოს, ან მეფისათვის“ და საიდუმლო ცნობები სხვისთვის გაეხდოს. ქართველი ებრაელები მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ცხოვრებაში, ქართველი ხალხის მიერ გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში.

თავისი ენით, კულტურით, ყოფა-ცხოვრებითა და ისტორიული ბედით საქართველოსთან დაკავშირებული ქართველი ებრაელობა ძველთაგანვე ბუნებრივად ერწყმოდა ქართველი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციის ისტორიულ პროცესს (გვიანფეოდალური ხანის საბუთებიდან ებრაელთა გაქართველების ანუ „გაქრისტიანების“ მრავალი ფაქტია ცნობილი). ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ფორმირების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი, რომელიც შემდეგ ხანებშიც გრძელდება. ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოს გარეშე აღმოჩენილმა ქართველმა ებრაელებმა უცხოეთშიც კი არ დაივიწყეს და დღემდე შეინახეს ქართული ენა, ქართული ტრადიციები. ქართველ ებრაელებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი და როცა ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა ფაშისტური თავდასხმის საშინელება, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა საბჭოთა ხალხს და უდიდეს მატერიალურ ზარალთან ერთად მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ქართველი ებრაელობა მთელ ქართველ და საბჭოთა ხალხთან მხარდამხარ იბრძოდა სამშობლოს დასაცავად — მრავალმა მათგანმა ისახელა თავი ბრძოლებში, ბევრი კი ბრძოლის ველზე დაეცა. საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი სამამულო ომის ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი, როცა ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა მეომრებს, მათ შორის ქართველ მებრძოლებს, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი დაღუპვისაგან უხსნიათ ებრაული წარმოშობის ტყვეები, რომლებზეც ნადირობდნენ და რომლებსაც განუკითხავად ხოცავდნენ საგანგებოდ დაგეშილი „წმინდა სისხლის არიელი“ არამზადები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სამშობლოდან გადახვეწილ შეძლებულ ებრაელთა ერთი ჯგუფი ემიგრაციაში აღმოჩნდა, ნაწილი კი ინგლისის მაშინდელ სამანდატო ტერიტორიაზე — პალესტინაში გადასახლდა, მაგრამ ბევრი მათგანი ემიგრაციასა და უცხო გარემოს ვერ შეეგუა და საქართველოში დაბრუნდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ებრაელობა მთელ ქართველ და საბჭოთა ხალხთან ერთად სოციალისტური ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა. ქართველი ებრაელები დღეს აქტიურად მონაწილეობენ აღორძინებული საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი პროგრესის საქმეში, სწავლობენ, ეუფლებიან რთულ პროფესიებს, მუშაობენ და მოღვაწეობენ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ქართველ ებრაელთა წრიდან გამოსულია არაერთი ცნობილი საბჭოთა მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, ექიმი, ინჟინერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის შენებლობაში. ამიტომაც უცხოა და არაპოპულარული ქართველ ებრაელთა ფართო მასებისათვის თელ-ავივის მმართველი წრეების „იდეები და მოწოდებანი“ ებრაელთა „რეპატრიაციისა და აბსორბციის“ შესახებ „წინაპართა სამშობლოში“. ქართველ ებრაელთა ისტორიული სამშობლო საქართველოა — აქ არის მათი წარსული, აწმყო და მომავალი.

გერცელ ჩაჩაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი.



თბილისს კიდევ ერთი მრავალსართულიანი სახლი შეემატა. ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ვაკის პარკთან აღმართულ ამ შენობაში სულ მალე ახალმოსახლეობას იზეიმებს საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტი.

სერგო თევზაძის ფოტო

კონკურსის შედეგები

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დამთავრდა რესპუბლიკის სახალხო თეატრების დათვალიერება-კონკურსი.

პირველი ხარისხის დიპლომები მიენიჭათ ზესტაფონის სახალხო თეატრს დარასელის „კიკვიძის“ — დადგმისათვის, ცხაკაიას სახალხო თეატრს ხუნწარიას პიესის „ოხრახუშის“ დადგმისათვის, ონისა და ამბროლაურის სახალხო თეატრების გაერთიანებულ კოლექტივს თაქთაქიშვილის პიესისათვის „ნევის შვილები“.

მეორე ხარისხის დიპლომები გადაეცათ ცაგერის, ბოლნისის, გურჯაანის, ყვარლის სახალხო თეატრებს.

ესალმებოდა გვინეა

ჭუთაისის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომელსაც საკავშირო ფესტივალის ლაურეატი პეტრე სილაძე ხელმძღვანელობს, წლეულს მეორედ ეწვია აფრიკის კონტინენტს. თავდაპირველად ჭუთაისელ მოცეკვავეებს კონგოს სახალხო რესპუბლიკა მასპინძლობდა, ხოლო ახლახან მათს ცეცხლოვან ცეკვებს ტაშს უკრავდა გვინეელი მაყურებელი. გვინეაში ჭუთაისელმა მოცეკვავეებმა 15 კონცერტი გამართეს.

კინო


ჟიურის გადაწყვეტილებით...

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში რვა დღეს მიმდინარეობდა მეოთხე საკავშირო კინოფესტივალი, რომელშიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სურათებიც მონაწილეობდნენ.

ამ დღეებში გამოქვეყნდა კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება. გამარჯვებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის კინომოღვაწენი და ფილმებიც არიან. ვახტანგ ბერიძის მულტიპლიკაციურმა ფილმმა „ო, მოდა, მოდა“ მეორე პრემია დაიმსახურა. ფილმების — „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ და „ღიმილის ბიჭები“ — საუკეთესო სცენარისათვის პრიზი მიენიჭა სულიკო ჟღენტს.

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრემია გადაეცა მსახიობ დოდო აბაშიძეს.

ქართულმა სურათმა მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსშიც ისახელა თავი — „თეთრი თორლვაი“ მეორე პრემიით აღინიშნა.



„ფიროსმანი“

ჩვენ არ ვიცნობდა პროფესიული ფერწერის ტექნიკას, არც თანამედროვე და არც ძველ ქართულ ხელოვნებას. არ ყოფილა ძველი ქართული კედლის ბრწყინვალე ფრესკული მხატვრობის ტრადიციების განმგრძობი. არ ემჩნევა ევროპული და რუსული ფერწერის გავლენა. იგი არის ერთადერთი, განსხვავებული და თავისთავადი. მთელ მის შემოქმედებას საფუძვლად უდევს მეტად თავისებური ხელვა სინამდვილისა, მძაფრი და ნათელი, ოპტიმისტური. თითოეული მისი ნამუშევარი ჭეშმარიტად დიდი ოსტატის ხელით არის დაწერილი, გვაღელვებს და გვატყვევებს ჩანაფიქრის მხატვრული ერთიანობით — სხვანაირად არ შეიძლება დავახასიათოთ თვითნასწავლი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი — ფიროსმანი, როგორც სიყვარულით უწოდებენ მას.

ნიკო ფიროსმანის თემა დიდია და ამოუწურავი. რამდენიმე წლის წინათ რუსთაველის თეატრმა წარმატებით გვიჩვენა პიესა ფიროსმანზე, და იმ დღიდან ხალხმა აიტაცა კომპოზიტორ არჩილ ჩიმაკაძის „სიმღერა ფიროსმანზე“, რომელიც ასე საუცხოოდ ააყღერა ფიროსმანის როლის შემსრულებელმა სერგო ზაქარიაძემ. ათიოდე წლის წინათ რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ფიროსმანზე. როგორც ჩანს, ეს ერთგვარი ნიადაგის მოსინჯვა იყო, დიდ თემასთან შერკინების დასაწყისი. ახლახან ეკრანზე გამოვიდა გიორგი შენგელაიას მხატვრული ფილმი — „ფიროსმანი“.

მთავარ როლს ფილმში მხატვარი ავთანდილ ვარაზი ასრულებს.

—ეს შემთხვევით მოხდა, — განაცხადა ავთანდილ ვარაზმა— თავდაპირველად გიორგი შენგელაიამ მხატვრად მიმიწვია ფილმზე. მხატვარ არაბიძესთან ერთად სიამოვნებით შევუდექი მუშაობას. ერთ დღეს კი გიორგიმ ფიროსმანის როლი „შემითავსა“. ეს იყო დიდად პასუხსაგები საქმე. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, მხატვრობა გამომივიდა „შეთავსებით“, ხოლო ფიროსმანის სახემ ერთიანად დამიმორჩილა.

ჩემი ფიროსმანი, ალბათ, აზრთა ბევრ სხვადასხვაობას გამოიწვევს. რას იზამ, იგი ყველას თავისებურად ჰყავს წარმოდგენილი.

მოვუსმინოთ რეჟისორ გიორგი შენგელაიას:

— არამც და არამც არ უნდა გაიგოს მაყურებელმა, რომ ამ ფილმში ვეცადეთ ჩაგვეტია ფიროსმანის მთელი ცხოვრება და შემოქმედება. ფიროსმანის თემა ამოუწურავია. და, ალბათ, მას კვლავაც დაუბრუნდებიან. ჩვენ ამ თემის მხოლოდ ნაწილი გავაშუქეთ. გავაშუქეთ ისეთნაირად, როგორც დავინახეთ და შევიგრძენით...

ფილმი შექმნილია ერლომ ახვლედიანისა და გიორგი შენგელაიას სცენარის მიხედვით.

სურათებზე: კადრები ფილმიდან.



გაიმარჯვა ნიკოლაუმ

ლამაზრდა ქალთა VI საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ტურნირის პირველი ნახევარი თბილისში მიმდინარეობდა, დასკვნით ნაწილს კი მასპინძლობას უწევდა ქალაქი გორი. ტურნირზე დიდ წარმატებას მიაღწია რუმინელმა მოჭადრაკემ ნიკოლაუმ, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი გაიკაღდა. 10,5 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ელენე რუბცოვა. მესამეზე აღმოჩნდა ქართველი მოჭადრაკე თამარ ხუციშვილი, რომელმაც ამ ტურნირზე სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. ჭადრაკის მოყვარულნი უფრო მეტს მოელოდნენ ნანა ალექსანდრიასაგან, მაგრამ, როგორც სჩანს, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ამჯერად ჩვეულ ფორმაში ვერ იყო. ნანამ რამდენიმე პარტია წააგო და პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა.

სპორტული ქრონიკა

ძიუდოისტთა XIX ევროპულმა ჩემპიონატმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს სამწლიანი შესვენების შემდეგ წარმატება მოუტანა. ჩვენმა ფალავნებმა კვლავ დაიბრუნეს კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელი. ოქროს მედალი სხვებთან ერთად თბილისელმა გივი ონაშვილმაც დაისაკუთრა.

●

რეგბში საქართველოს 1970 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის „დინამომ“, რომელმაც დამატებით შეხვედრაში ანგარიშით 9:6 დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი“.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს საუკეთესო რეგბისტთა კოლექტივები — „დინამო“ და „ლოკომოტივი“ საკავშირო პირველობას კარგად მომზადებული ხვდებიან.

●

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ. იმის მიუხედავად, რომ მათ ორივე შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსთან“ ფრედ — 1:1 და 0:0 დაამთავრეს, საკავშირო თასის წლევანდელი გათამაშების დებულების ძალით (თუ გამარჯვებული ვერც ერთმა მატჩმა ვერ გამოავლინა, უპირატესობა იმ გუნდს ენიჭება, რომელსაც სსრ კავშირის ნაკრებში მეტი ფეხბურთელი ჰყავს), თასისათვის შემდგომ ბრძოლას დინამოელები გააგრძელებენ. მეოთხედფინალში თბილისელთა მეტოქე ოდესის „ჩერნომორეცი“ იქნება.

●

რამდენიმე დღიანი შესვენების შემდეგ განახლდა სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. 7 ივნისს მოსკოვში ადგილობრივმა ცსკა-მ მიიღო ქუთაისის „ტორპედო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

●

ბორჯომის ხეობაში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი კლდეზე ცოცვაში. სარბიელზე გამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონები — ლენინგრადელები და შარშანდელი პრიზიორი — კრასნოიარსკის გუნდი. სტუმართა შორის იყვნენ ისეთი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, როგორიც არიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ლენინგრადელი მარკელოვი, მისი თანაგუნდელი გავრილოვი, კრასნოიარსკელი პურსაკოვი და სხვები. გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადელები, მესამე ადგილი წილად ხვდათ კრასნოიარსკელებს.

შეჯიბრებაზე დაწესებული ლეგენდარული მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის სახელობის პრიზი გადაეცა საქართველოს 1970 წლის აბსოლუტურ ჩემპიონს ირაკლი გელდიაშვილს.

მექსიკის ტალღებზე



ახლა ჩვენი პლანეტის სპორტის მოყვარულთა ყურადღება მექსიკისაკენ არის მიმართული — მსოფლიოს პირველობა ფეხბურთში გადამწყვეტ ფაზაში შედის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საბჭოთა გუნდის გამოსვლები გვაინტერესებს. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები გულშემატკივართა იმედებს ამართლებს.

IX მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს მასპინძლებთან მრავალმა მომამხილველმა და ცნობილმა მწვრთნელმა გაუკეთა კომენტარი. უმეტესობამ საბჭოთა გუნდში საუკეთესოდ ალბერტ შესტერნიოვი, ანზორ კავაზაშვილი და კახი ასათიანი დაასახელა. ისე კი, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აუტანელი ტროპიკული სიცხე და სიმაღლე ის მიზეზი გახლდათ, ჩემპიონატის პირველი მატჩის მონაწილეებს საშუალება რომ არ მისცა სრულად გამოემჟღავნებინათ თავიანთი შესაძლებლობა.

ასე იყო თუ ისე, მატჩის შედეგი 0:0 მთლიანად შეესატყვისებოდა იმას, რაც მოედანზე 90 წუთის განმავლობაში ხდებოდა.

ჩვენი ნაკრების მეორე მატჩს ბელგიელთა წინააღმდეგ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტიურად მხოლოდ გამარჯვებულს შეეძლო ეფიქრა მეოთხედფინალში გასვლაზე. მოედანზე გამოვიდნენ კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ხურცილავა, აფონინი, ასათიანი, მუნტიანი, ევრუჟიხინი, ბიშოვეცი და ხმელნიცკი.

ძალზე სახიფათოდ შეუტიეს მე-13 წუთზე ჩვენს კარს ბელგიელებმა. კავაზაშვილმა აკრობატული ნახტომით მოიგერია ახლო მანძილიდან ვან ჰიმსტის დარტყმული ბურთი, შემდეგ ვან მურის უძლიერესი დარტყმა ძელმა აირეკლა. ასეთმა დასაწყისმა ჩვენი ფეხბურთელები როდი დააბნია. პირიქით, სულ ორიოდე წუთში ბიშოვეცმა შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ ისინი მთლიანად დაეუფლნენ ინიციატივას და მსაჯის საფინალო სასტვენამდე მოედნის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. მეათე წუთზე კახი ასათიანის ძლიერი და ზუსტი დარტყმა მიზანს მისწვდა. სწორედ ამ ბურთმა საბოლოოდ დათრგუნა ბელგიელები. ამის შემდეგ ბიშოვეცმა და ხმელნიცკიმ კიდევ თითო ბურთი გაიტანეს.

თამაშის დასასრულ მოწინააღმდეგემ მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო 4:1 — მართლაც რომ ბრწყინვალე გამარჯვებაა! სასიამოვნოა იმის შეგრძნებაც, რომ ამ გამარჯვებაში სხვებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ ფეხბურთელებს ანზორ კავაზაშვილს, მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილსა და კახი ასათიანს.


10 ივნისს. მესამე მატჩში ჩვენმა ნაკრებმა დაამარცხა სალვადორის გუნდი (2:0) და მეოთხედფინალში გავიდა.

ერთი გადამწყვეტი შეხვედრებია. ვუსურვოთ წარმატება ოქროს ჭალღმერთის ხელის მაძიებლებს, რომელთა თავგამოდებულ ბრძოლებს ახლა მთელი მსოფლიო უკრავს ტაშს.



სურათზე: შეტევაზეა სსრ კავშირის ნაკრების მცველი, თბილისელი რევაზ ძოძუაშვილი.

ეთაჭვინდის ეთვარე



გიორგი ცაბაძის მუსიკა

გიგლა ხუხაშვილის ტექსტი

დავიწყე მუდამ მოხიბლული
შენი თილისმით,
ვეძებე და ვერსად ვპოვე
მე სხვა თბილისი.

მოვიარე შორი გზები,
სად არ მაწვიმდა,
ვეძებე და ვერსად ვპოვე
მე სხვა მთაწმინდა.

რა გინდ ფიქრმა გული
მძიმედ
გადამინისლოს,
მომაგებებ მზეს და იმედს,
ჩემო თბილისო!

რომ მოგშორდე ერთი
დღითაც
მომენატრები,
სულში მუდამ შრიალებენ
შენი ჭადრები.

პარიზში გამოფენაზე...

საქართველოს მოდელების სახლის (დირექტორი იური გოგოლაძე) მხატვარ-მემოდელეები ახალი მოდების შექმნისას ხშირად მიმართავენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ფართოდ იყენებენ ქართული ჩაცმულობის ტრადიციულ ელემენტებს, მაგალითად, ჰედურ სამკაულებს, სვანურ ჭუდებს, უაბალახს, ნაქარგ ხევსურულ პაჰიჭებს.

კოლექციაში, რომელიც მოდელების სახლმა ამჯერად პარიზის გამოფენისათვის მოამზადა, ცოტა როდია ეროვნული სტილით შესრულებული მოხდენილი სამოსი. ძალიან საინტერესოა, მაგალითად, გეტა ნანუკაშვილის მოდელი, შექმნილი ხევსურულ მოტივებზე. იგი ზამთრის სპორტის მოყვარულთათვის არის განკუთვნილი. მოკლე, უსახელო პალტო შეკერილია სქელი ერთფეროვანი ღია შალის ქსოვილისაგან და დაჭარგულია ქართული ორნამენტებით.

გეტა ნანუკაშვილს ეკუთვნის აგრეთვე საგარეო ანსამბლი — თეთრი ფარჩის გრძელი პალტო და კაბა. ამ ჩაცმულობას კარგად ეხამება ჰედური სამაჯური და საყურეები.

უკანასკნელ ხანს ქალთა მოდაში ფეხი მოიკიდა შარვალმა. ქართველმა მემოდელეებმა ესეც გაითვალისწინეს. გთავაზობთ შავი ქსოვილის საგარეო პალტოს შარვლით. მას ამშვენებს ქამარი ჰედური ბალთით. ჩაცმულობას ლაზათს მატებს თავზე უაბალახივით მოხვეული მანდილი. ამ მოდელის ავტორია ნინო ტოლსტუხინა.

მოზარდი ბიჭისათვის სპორტული კოსტიუმი შექმნა იუზა ნაცვლიშვილმა.



სანდრო მამასახლისის ფოტო







ტყემლის საწებელი

ჭაართული

ლი

ადარჩეული, გარეცხილი 2 ჩაის ჭიქა ტყემალი ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ ოდნავ დაფაროს და მოხარშეთ. მოხარშული ტყემალი წვნიანად გადაიტანეთ თუშფალანგში და გახეხეთ. დაუმატეთ დანაყილი 4 ღერი ჭინძი. 3 ღერი კამა ერთი ძირი ომბალო, 1 კბილი დანაყილი ნიორი, წიწაკა და მარილი გემოვნებით. აურიეთ და ჩაასხით სასაწებლეში. აღნიშნული საწებელი შეიძლება უომბალოდაც გავაკეთოთ. ასეთივე წესით მზადდება ალუჩის საწებელიც.

სამზარეულო

მი გაფცქვნილი კარტოფილი დაჭერით და ქვაბში ფინებად ჩაყარეთ, დაუმატეთ გემოვნებით დანაყილი პილპილი, წიწაკა, მარილი, ხუთი-ექვსი ძირი დაჭრილი ქინძი და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა წყალი. ქვაბს დაახურეთ და ნელ ცეცხლზე ხარშეთ.

ნედლი პამიდორის მაგიერ შეგიძლიათ იხმაროთ ნახევარ ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი პამიდორის პიურე.

ბუღლამა შეიძლება ასეთივე წესით ძროხის ხორცისაგანაც მომზადდეს.

გუღლამა

ხუთასი გრამი ხახვი, შვიდასი გრამი ბატკნის ან ცხვრის მსუქანი ბორცი (სასურველია მკერდის ნაწილი). რვაასი გრამი კანგაცლილი პამიდორი, ხუთასი გრამი

დაგეძებენ, ეოგელიან

ნესტორ ლუკას ძე მაისაიას,

დაბადებულს 1906 წელს დაბა ახალშენში. ეძებენ მეუღლე — ლილი ანტონის ასული ჭანტურია, შვილები — აჩიკო და ზაურ მაისაიები, შვილიშვილები — შალვა და ირაკლი მაისაიები, მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, რუსთაველის ქუჩა № 366.

დავით კოზმანის ძე ანდრიაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში, ეძებს და — ზინა ანდრიაძე, მცხოვრები სოფელ ჭყვიშში.

ზოთა ლუკას ძე ნაჭყებიას,

დაბადებულს 1918 წელს ფოთში. ეძებენ და — ნინო, ძმა — ლევანი, დისწულები — გრიშა, გურამ, ხურციები. ნოდარ, ოთარ. შოთა. ტარიელ. სვეტა კუციები. ძმისწულა — ჯულიეტა ნაჭყებია, მცხოვრებნი ფოთში, ჯუღაშვილის ქუჩა № 188.

რომან სიმონის ძე (ლიკიტას) როსტომაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში. ეძებენ დედა — ელენე. მამა — ხიმონი, და — თამარ მაღალაშვილი. ძმა — ოთარ როსტომაშვილი, მცხოვრებნი საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში.

ბიძიკო (ბუბა) სამსონის ძე ნეფარიძეს,

დაბადებულს 1919 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში, ეძებენ დედა — პიღასი, მამა — სამსონი, დები პაშა, ქეთო, მამიდა — ლუჩია, სიძე — ზალიკო ჯაფარიძე. მცხოვრებნი ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში.

ალექსანდრე (ალიოშა) არისტოს ძე ჩინჩალაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში. ეძებს მამა — არისტო ჩინჩალაძე. მცხოვრები სოფელ ფუთში.

ასლან სიკოს ძე გაღაშვილს.

დაბადებულს 1920 წელს წითელ წყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში, ეძებენ დები — დარეჯან, მაყვალა ბალაშვილები, მცხოვრებნი სოფელ არბოშიკში.

გიორგი (ჟორა) ვლადიმერის ძე კუჭავას,

დაბადებულს 1910 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაიშში. ეძებენ მეუღლე — გოგუცა ბიბილეიშვილ-კუჭავა და შვილი — ლალი კუჭავა, მცხოვრებნი თბილისში, ლოტკინის I შესახვევი № 4.

ვასილ სიმონის ძე ენუქიძეს.

დაბადებულს 1921 წელს თბილისში. ეძებენ დედა—ქეთევან (ლიმონჯა) იოსების ასული ენუქიძე, დები — თამარ და ქეთევან ენუქიძეები, მცხოვრებნი თბილისში. პიონერის ქუჩა № 4.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488.

ფასი 5 კაპ.